სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/05

(ოქმი N3)

ქ. ბათუმი 25 თებერვალი 2021 წ

აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის 2021 წლის 17 თებერვლის N02-19/347 წერილის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს, განახორციელოს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის მიზნით შემდეგი ხელშეკრულებების გაფორმება:

ა) შპს ,,ალფა2020''-თან, გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულებით 240780 (ორას ორმოცი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარი.

ბ) შპს ,,ქართული გახმოვანება''-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულებით 160920 (ას სამოცი ათას ცხრაას ოცი) ლარი.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'';

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი